

3

1993

136
1993/2

ISSN 0132-6016

ქართული
ლიტერატურა


აუხ თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

საბიჭისა და იუმორის ჟურნალი



ნ.ა. ჯ. ლომუასი

თემა შ. სიხარულიძისა



კაქა - ფეფქლა



ვინ არის კაცი?

კაცი ის არის, ესოვრება
ვინც გაატარა ქაშაში
და კაცის დანიშნულება
მხოლოდ: შრომა აქაში.

კაცი ის არის, ვინცა
ქუჩაში ხალაშს არ გაძლევს,
თუ დაჰატიეფ ხადილად,
დიდ ჩიუტობას არ გასწევს.

კაცი ის არის, ვინცა
საქნით ხვდის, სიტყვით ჩვენია

და თავის ოინბაზობას
მსალავს, არ დაუჩენია.

კაცი ის არის, ვინცა
შესტრფის, შეშხარის ღვინოსა
და მსახავს იდეალადა
ხალხინო-ხაშიკიტნოსა.


კაცი ის არის, ვინცა
არა კითხულობს ვაწეთსა,
წიგნისთვის შაურსა შროგავს,
მეარღნეს აძლევს მანეთსა,

გადაშტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საქუთაი ანბანს შეუღვენს
სამეგრელოს და სვანეთსა.

კაცი ის არის, სიცოცხლე
ვინც ატარა ტკბილადა, —
სიკვდილის შემდეგ იწოდა
დიდუურიანის შვილადა.

1902 წ.

ნ.ხ. ჯ. ლოლუასი



— ხვალ ჩვენი საკითხი გადის პარლამენტში, ახუ
შიშველ-ტიტველი დავჩივებით თუ არა.

თემა მ. სიხარულიძისა



საბჭოთა კავშირი

პარტიულ დიქტანტებს — რას ფიქრობს იგი ეგრეთ წოდებულ ცოლქმრულ ბორკილებზე?

— ცოლქმრული ბორკილები ისეთი სიმძიმისაა, რომ ისინი აუცილებლად ორმა უნდა ატაროს, ხანდახან კი — სამამაც!..

სოფლის მეურნეობა

ლონდონში წარმატებით დადგმული თავისი პირველი პიესით ფრთხილმუხა ახალგაზრდა დრამატურგმა თეატრს მეორე პიესა წარუდგინა. პიესა დაიდგა, მაგრამ მაყურებელი მას ძალზე ცივად შეხვდა.

აღშფოთებულმა დრამატურგმა ბერნარდ შოუს მისწერა:

„თქვენი თეატრალური პუბლიკა ელემენტარულ გემოვნებას მოკლებული უმეცრებისაგან შედგება“.

სოუს უპასუხა:

„საჯებოთ გეთანხმებით, მე ეს თქვენი პირველი პიესის პრემიერაზე შევამჩნიე“.

ცნობილი დრამატურგი ხალხს ვიდრე კიდევ დებიუტანტი იყო, პარიზის ერთ-ერთი თეატრის დირექტორს პიესა რომ მიუტანა.

— მშვენიერი პიესაა! — თქვა დირექტორმა რამდენიმე დღის შემდეგ. — მაგრამ დიალოგების გადახალიხება და სიუჟეტის გამარტივება მოგიწევთ, რათა პიესა უოველი იდიოტისათვის იყოს გასაგები!

— შესანიშნავია! — წამოიძახა ვატრიმ, — გთხოვთ, გეთაყვა, მიმიითოთ ის ადგილები, რომლებიც თქვენ ვერ გაიგეთ!

დახასიათება

დემეტრიუსი ფილმების დამდგმელს, ა. ხიჩკოვს, სთხოვეს აზრი გამოეთქვა ერთ-ერთ მხახიოხზე.

— იგი იმდენად მოკლებულია ინდივიდუალობას, — თქვა ხიჩკოვმა, — რომ თვით ფერად ფილმებშიც კი შავ-თეთრი გამოდის!..

თარგმან. ხაშან ასათიანმა.

როცა ჩაჩქურში ვართ!..

ჩვენ მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიყავით უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობით! ჩვენ დღესაც პირველ ადგილზე ვართ, ოღონდ პოლიტიკით დაავადებული ადამიანების რაოდენობით!

რა სიკეთეც პირველმა პირველობამ დაგვმართა, იმაზე უარესს უნდა ველოდოდეთ მეორე პირველობისაგან! არა, მაინც რა გვპირს ასეთი ამ ქართველებს: პირველები გვინდა ვიყოთ, ან გვგონია, ვართ ყველაფერში! „რაც ქარგები ვართ, ქართველები ვართ!..“

ერთი ძველისძველი ანეკდოტი:

რუსეთის მეფის ქარის ერთ ნაწილში ინსპექციამ

ჩამოვიდა მაღალი ჩინის ოფიცერი. ნაწილი მიწობრში დადგა.

— სწორდით, სმენა! გაითვალეთ პირველი-მეორე!

— პირველი!..

— პირველი!..

— პირველი!..

— რას ჰგავს ეს, მაიორო? — დაიქუხა მაღალი ჩინის ოფიცერმა, — რა კომედიას მიწყობთ?!

— არა, ბატონო გენერალო, ეს ხომ ქართველების პოლიცია!..

ვივი პირველი

ყუჩოქაული ფრაზები

ბატონი ნახვა თუ გინდა, მიაკითხე პურის რიგს!


სიღმეობრივი ხანდაზმულთა სახლს მივაბარე, შეილიშვილი — უპატრონო ბავშვთა სახლს, მე და ჩემი ცოლი სათნოების სახლში ვსადილობთ და ქე გავვაქვს თავი!

მს რამხელა თოვლი მოვიდა საქართველოში! მგონი, რუსეთს გამოუგზავნია, ჰუმანიტარული დახმარება!

- გაიგე, კვერცხის ფასი 25 მანეთზე რომ ავიდა?!
- აბა, კაცო, თურმე გუგულები სხვის ბუდეში აღარ დებენ კვერცხებს!


მართლმანა კაცმა ბარი გადააგდო და ბარიგობას მოკიდა ხელი!

საბჭოთა კავშირი



უპატივობა

ნახ. 5. სიღმრთისა



უპატივობა



უპატივობა

საქართველოში უპატივობისა



უპატივობა

ნახ. 2. აბაზიანისა



— ანუ ზალი აზიანდა თნა
— რას აზიან, ხატონო, მტინიერებზე რის დავრბოდა,
მაზინე შეკამათებოდა ჟალბოდა.

— დავუბრუნებ ხოლმე
— არა, კარგ, ხეობათი ზღვრის გუბებზე.

ჯიხური

ჯიხური...



ნახ. ზ. შორაძის

— რა გინდა, ძმაო, არ გაშიძარცვიხარ, არ გაშიღიანძ-
ლიხარ, არ მომიკლავხარ, კიდევ ფულსა მოხოვ?

ყველაფერი გაჯახირდა..
გაჯიხურდა საქართველო..
საითაც კი გაიხედავ: —
ჯიხური!..
ჯიხური!..
ჯიხური!..
ვაჭრობენ!..
ჩარჩობენ!..
გვებრჩობენ!..
ღრუბელმა ცისკარი მიხურა!..

რა ლამაზი ცა მეხურა!
მიწა რა ლამაზად ჩანდა!
ყველაფერი დამებურა!..
ყველაფერი გადაგვარდა!..
სადღაა ნახტომი ვეფხვური?!
სადღაა ნახტომი ჯიხვური?!
არის ჩალიჩი და ფაფხური!..
ჯიხური!..

ჯიხური!..
ჯიხური!..
...სული გადამესისხლება, —
დღე ისე...
აფთარივით მიყურებს!..
ყველაფერი მეზიზღება!..
თუ ძმა ხარ, კარები მიხურე!..

თეიმურაზ აბულაძე

გაჩვიებული წამსმენი მაკლარ ითქმის

ეს კაცი ყველას ღიფს ახსამს,
„მე წმინდა ვარო!“ — სულ ხუნეშის,
მიწას რომ უტეხ არ მოსწყდეს,
თურმე ჭა უღევს უბეშის!..

— : — : —

მრავალ იარაღს იგონებენ,
ზოგი აღრიცხული არც კია,
ყველაზე საშიში იარაღი
მცირეკალიბრიანი კაცია!

მთელ დღეს წვიმს,
ავდარი აღარ გვინდა,
შმორი შეერია სივრცეს!..
როგორც ცუდი ამინდი
იქცევა კარგ ამინდად,
ნეტავ, ცუდი კაცი
კარგ კაცად იქცეს!

ნოდარ შაყანაძე





მეგობარი ცხვარი

მეგობარი, ერთ მოხუხზე წყაროსთან, დიდხანს იცადა მშვიერმა მგელმა. ვისაც ამ ცივი და ცის ნამივით ანკარა წყლის გემო ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული, წყურვილის მოსაკლავად უთუოდ აქეთ გამოსწევდა. მგელმა ეს კარგად იცოდა და ითმენდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. მგელმა რამდენიმეჯერ დახუჭა და გაახილა თვალები, — ხომ არ მეშლებათ?! სოფლის მხრიდან მისკენ წელი, თვითდაჭერებული ნაბიჯით მოდიოდა ყელმოღერებული მსუქანი ცხვარი.

— ეუპ, ცხვარიც ამას ჰქვია! — სიხარული ველარ დამალა მგელმა.

იგი დაწვა, თათებზე ჩამოლო თავი და გაბრწყინებული თვალებით უცქერდა ცხვარს.

— რა ბეწვი აქვს! ცოდო კია ამ მოვლილი ქურქის დაგლეჯა, მაგრამ რა ჩემი ბრაღია?! რომ არ შეგვაპო, სხვა შეგვაძს.. კარგი მოზრდილი კი არის, რამდენიმე დღეს შეეფა. ხვალ ჩემს ლეკვებსაც მოვიყვან და გემრიელად მოვუღებთ...

ამ ღიქრებში გართულს ცხვარი თითქმის დაგა. მგლისთვის ყურადღება არ მიუქცევია და დაეწედა სვენებ-სვენებით.

„დიდი თავხედი ვინმე ჩანს არაფრად ძაღუბის მგას ვუჩვენებ სეირს!“ — განიხსნდა მგელი და შეეუფო: — შე უნამუსო, როგორ ბედავ, რომ მაგ ტურტლანი დრუნჩით წყალს მიმღრევე?! ცხვარმა დამცინავად შეხედა მგელს.

— შე უტვინო, რატომ არ გინდა შეიგზო. რომ შენ დრო წავიდა, ასეთ ბრაღდებებს ახლა მე ვუყენებ სვენებს! მგელი ცხვრის ნათქვამის შინაარსს არ ჩაჰკვირვებია, მას უბრალოდ სიტყვის შებრუნება არ მოეწონა. მან ზისაგან კბილები გააკრაპუნა და ცხვრის შესაბამისად ლად მოემზადა. მაგრამ ცხვარმა დაასწრო, პირი ახლო და მგელი სულმოუთქმელად გადასანსლა..

რა იცოდა საბრალო მგელმა, რომ ცხვრის ქერქში მასზე დიდი მგელი იყო გახვეული..

მიხეილ შუბითიძე

(საზინაო ღვაწლით)

მადგუცადა?

წაიკითხეთ, გამოყავით მოკვლეაული უსიტხვებანი, რომლებსაც ამჟამად აღბარავითარი აზრი აღარ მოეპიტხებათ. გაუსვით მათ ერთი ხაზი. ხმარებაში უმონახულთ გაუსვით ორი ხაზი:


ხლაფორთი პენსიხათვის; რიგში დგომა; უფროსის ყვირილი; ზემოდან დავარეკინე! დაწურული ხიზილადა; იატაკვეშა მილიონერი; იაფი, მაგრამ გვარიანი კოსტიუმი; შე — ხელმძღვანელი ვარ, შენ — ბრიყვი ვინ არის ბოლო? ობიექტური მიდგომა; კომპეტენტური სპეციალისტი; სსკის უფროსი, რომელიც ზრუნავს ხალხზე; პატარა, მაგრამ მხიარული ქორწილი; არ ვახცეთ ხულზე ორ კილოზე მეტი ოქროს ქორწილი; ჩეურნეობას მუშები აღარ ეხაქიროება! ოპერატიული პასუხი გერაღზე; მაღლიზა კრიტიკისათვის! შეცნეირებათა დოქტორი მონაწილეობს მოსავლის აღებაში! უკაცრავად, რას არიგებენ? უნავერმაღის ღატაკი დირექტორი; ხელმძღვანელის ნათესავი მკაცრად დასაჯეს; ხუთწუთიანი თათბირი გრძელდებოდა

ხუთ წუთს; ავტობუსი მოვიდა გრაფიკის მიხედვით; აბსოლუტურად პათიოსანი სახლმშარტეილი; ნებაყოფლობითი დაზღვევა; ძლივს გაეშანენ; წაქციულს არ სცემენ; პროტექციით მოეწყო; რახაც დათესავ, იმას მოიმკი გაპარხეს და ოდესკოლონიც სხურებს; მამა-ბიძები არ ჰყავდა და მაინც სწრაფად ჩაუსხვეს ოქროს კბილი; სამსახურიდან გაიქურწა; კოლექტივი მუდამ მართალია; ვინ დაუტერს ჩვენს კოლექტივში მხარს დირექტორს, მართალი თუ არაა; სამშენებლო მახალა დათვლილია; კარგი მუშაკია, პრემია კი არ არგუნეს; კალმით ნაწერს ნაქაბით ვერ წაშლი უჩვეულო სიუეტმა რედაქტორი ვერ შეაცბუნა; შვილი ინსტიტუტში მოაწყო; ასპირანტურა ჩააწყო...

შეაფხეთ ეს უსიტხვებანი მსგავსი გამონათყვანით, რომელთაგან ზოგი დიდი ხანია გაპრა, ზოგი კი დღემდე უმონარენია ჩვენს მატყველავას.

რ. კენაელი (ქ. შინსკი)

საბარტგელოს



ნახ. შ. აბაშიძისა



ქურონალი „ნინაგზი“, № 3 (1877). თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ზოლმეძაძე. სარედაქციო კოლეგია: მურთოზ აბაშიძე, ქაბუ აშიაგუბო, ნოსო ნარაია, რევაზ თვინაძე, ჯემალ ლიღუა (მხატვარ-რედაქტორი), ვიკო ლომიძე, ნოდარ მაღალია, რევაზ მისველიძე, ვიკო პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხაჩიკიანი, ბენიან ხასარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი), მიხეილ ქვლივიძე, ლერა ჩანტლიძე, ვახუშტი ზარკვიანი, თამარ წავჭავაძე, ალექსი ჭავჭავაძე. ტექნიკური რედაქტორი ვიორჯი დუნდუა. გადაეცა ასაწყობად 22. 02. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 06. 93 წ., ქაღალდის ზომა 60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1, საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშრობლოს“ სტამბა. შეკვ. № 28;9. ტირაჟი 21.400. ყურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ყურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42. საკონტაქტო ტელეფონები: 93-49-32, 99-76-69. ინდექსი 76187.